პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 249 (5279) 17 დეკემბერი, სამშაბათი. 1974 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუშინწინ თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის [illegible] მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ვილნიუსის [illegible]. პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, თბილისელებმა ადვილად მოიგეს, გუშინწინდელ შეხვედრაში კი მათი მდგომარეობა ბოლო წამებამდე გაურკვეველი იყო. და მაინც, ამ ბრძოლაში წარმატება მასპინძლებს ხვდათ.

* * *

სურათზე: დარბაზის საერთო ხედი გუშინწინდელი მატჩის დროს.

(შეხვედრის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).



# რსფსრ-ს ძალოსნების წარმატება

ზაპოროჟიეში დამთავრდა სსრ კავშირის თასისა და ძალოსნური ორჭიდის ცალკეულ სახეობებში ჩემპიონთა ოქროს მედლების გათამაშება.

ბოლო ორ დღეს ასპარეზობდნენ საშუალო, ქვემძიმე, მძიმე და ზემძიმე წონის ათლეტები.

საშუალო წონის ათლეტთა შეჯიბრებაში ტრავმის გამო ვერ გამოვიდა შესანიშნავი საბჭოთა ძალოსანი მსოფლიო რეკორდსმენი ვ. რიჟენკოვი. ორჭიდში გამარჯვება წილად ხვდა უკრაინის პირველი გუნდის წარმომადგენელს ვ. ქელეზნიაკს — 342,5 კგ. ამდენივე დააგროვა ბელორუსიელმა ვ. შარიიმ, მაგრამ მეტოქეზე მძიმე აღმოჩნდა. სამაგიეროდ, შარიი ჩემპიონის მცირე ოქროს მედლის მფლობელი გახდა ატაცში — 150 კგ. ამ მოძრაობაში 0 მიიღო მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა გ. ივანჩენკომ და შეჯიბრებას გამოეთიშა. აკვრაში ჩემპიონი გახდა ჟელეზნიაკი — 195 კგ.

ქვემძიმე წონაში კვლავ ისახელა თავი სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. რიგერტმა (რსფსრ — I). მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში — 178 კგ. ეს 2,5 კგ-ით მეტია მისსავე მსოფლიო რეკორდზე. რაც ყველაზე უფრო საოცარია, ეს მაჩვენებელი 0,5 კგ-ით სჯობს მსოფლიო რეკორდს მომდევნო წონით კატეგორიაში, რომელიც ლენინგრადელ პ. პერვუშინს ეკუთვნის. რიგერტმა გაიმარჯვა ორჭიდის მეორე მოძრაობაშიც — აკვრაში — 215 კგ, ორჭიდის ჯამში კი 392,5 კგ დააგროვა.

მძიმე წონის ძალოსანთა შორის გაიმარჯვა ყაზახეთის წარმომადგენელმა, 23 წლის ი. ზაიცევმა — 387,5 კგ. მასვე დარჩა გამარჯვება აკვრაში — 220 კგ. ატაცში პირველობა მოიხვეჭა რსფსრ-ს წარმომადგენელმა ვ. ვასილიევმა — 170 კგ.

ზემძიმე წონის ათლეტთა ჯგუფში მაყურებლები ამაოდ ელოდნენ ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონის ლ. ჟაბოტინსკისა და მსოფლიო ჩემპიონის ვ. ალექსეევის ორთაბრძოლას. ჟაბოტინსკი, მართალია, გამოვიდა ფიცარნაგზე, მაგრამ მხოლოდ წარსული რეკორდებისთვის მედლების მისაღებად.

ალექსეევი თითქმის უკონკურენციოდ ასპარეზობდა და მაინც შეძლო მსოფლიო რეკორდის დამყარება აკვრაში. მან დამატებით, მეოთხე ცდაზე 243 კგ აჰკრა და თავისი ამასწინანდელი რეკორდი 0,5 კგ-ით გააუმჯობესა. ეს შესანიშნავი საბჭოთა ძალოსნის 68-ე მსოფლიო რეკორდია. ორჭიდში ალექსეევმა 415 კგ დააგროვა და უახლოეს მეტოქეს, 26 წლის ა. ენალდიევს 17,5 კგ მოუგო. ალექსეევს ტოლი არ ჰყავდა ატაცშიც — 180 კგ.

ამრიგად, შეჯიბრებაში დამყარდა მსოფლიოს სამი და ორი საკავშირო რეკორდი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს პირველი გუნდის ძალოსნებმა.

# ფინალში — გორსტკოვი და ვისოცკი

მოსკოვი, 15 დეკემბერი. „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში გაიმართა მოკრივეთა ნახევარფინალური შეხვედრები სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის. 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში რინგზე გამოვიდნენ სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ე. გორსტკოვი (ორსკი) და ვ. გრებენიუკი (ალმა-ათა). ბრძოლა ორსკელის უპირატესობით წარიმართა და ხუთივე არბიტრმა მას გამარჯვება მიანიჭა. მძიმე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ მაგადანელი ი. ვისოცკი და მოლდაველი გ. კოკურინი. გაიმარჯვა ვისოცკიმ. 29 დეკემბერს გაიმართება ფინალური ბრძოლა, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან გორსტკოვი და ვისოცკი. ორთაბრძოლაში გამარჯვებულს მიენიჭება სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი და გადაეცემა პრიზი „ბროლის ხელთათმანები“.

**კრივი**

- მოციგაავეები — სტარტზე
- მხოლოდ 0,07 წამით



● **ბრატსკი, 15 დეკემბერი.** აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ტური საციგაო სპორტში, რომელშიც 80 სპორტსმენი გამოდიოდა. 4 რბოლის ჯამში ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ნ. შაშკოვა, ვაჟებში — ს. მიხაილოვი (ლენინგრადის ოლქი). ორადგილიან ციგებში ყველაზე სწრაფები გამოდგნენ რიგელები დ. ბრემზე და ა. კრიკისი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, საქართველოს, ლატვიის, სომხეთისა და სხვა გუნდები.

● ალმა-ათა, 15 დეკემბერი. მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოციგურავეთა საკავშირო შეჯიბრება. ქვეყნის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ტ. ავერინამ დააგროვა 183.627 ქულა. მეორე იყო ტ. შელეხოვა — 184,382, მესამე — ტ. ფრადინა — 185,046. ასპარეზობაში ნაჩვენები იყო მაღალი შედეგები. მოსკოველმა ვ. კრასნოვამ 500-მეტრიანი დისტანცია დაფარა 41,87 წამში და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. ეს შედეგი 0,07 წამით ჩამორჩება ამერიკელ შ. იანგის მსოფლიო მიღწევას. გორკელმა ტ. ავერინამ 1500 მეტრზე რბოლაში აჩვენა 2.14,87. 1000 მეტრზე ყველაზე სწრაფი გამოდგა კიეველი ტ. შელეხოვა — 1.26,80.



# მოთხილამურეებმა სეზონი გახსნეს

რესპუბლიკაში ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილმა შეჯიბრებამ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების 49 სპორტსმენს მოუყარა თავი.

პირველ დღეს საასპარეზოდ გამოვიდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „ბურევესტნიკისა“ და ასკ-ს მოთხილამურეები. ვაჟები 20 კილომეტრზე დარბოდნენ, ქალები — 5 კილომეტრზე.

ქალთა შორის გაიმარჯვა ნ. ბალაშვილმა („კოლმეურნე“) — 21.21. II და III ადგილებზე გავიდნენ სპარტაკელი დები ნ. და ა. ვასილენკოვები, რომლებმაც შესაბამისად 24.37 და 25.10 აჩვენეს.

ვაჟთა შორის ყველას აჯობა ლ. სოლოიანმა („ბურევესტნიკი“) — 1:17,05, II ადგილზეა გ. მაკიევი („კოლმეურნე“) — 1:17.13, III — ვ. კოზანაშვილი („სპარტაკი“) — 1:18.21.

„მფრინავი მოთხილამურეები“ პიწკალოს მთის ფერდობზე მოწყობილ 45-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონმა მ. გაგამ („დინამო“) — 218 ქულა (44,5 და 44 მ.), II ადგილზე გავიდა მ. ბაკაევი („სპარტაკი“) — 211 (44 და 43 მ), III — ბ. ზანგიევი („კოლმეურნე“) — 208 (41 და 42 მ).

შეჯიბრება გრძელდება.

**მ. ზაქარეიშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ბაკურიანი.

* * *

**სურათებზე: მ. გაგა ასპარეზობისას; ნ. ბალაშვილი დისტანციაზე.**

ავტორის ფოტოები.



**ფეხბურთი**

# ვეტერანთა მატჩი

განვლილ კვირას ზუგდიდში გაიმართა ადგილობრივი და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტის მოყვარულთა შორის: 10-ათასიანი სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით.

საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

**გ. ალშიბაია.**

# საინტერესო ღონისძიება

ჭიათურაში ამას წინათ მოეწყო მოსწავლე ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობის გათამაშება. ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ნორჩ სპორტსმენთათვის გაიმართა საინტერესო ღონისძიება: მათ შეკითხვები მისცეს სპორტის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში. კონკურსში ყველაზე უკეთ გამოვიდნენ სოხუმისა და რუსთავის წარმომადგენლები, რომლებმაც სწორი პასუხები გასცეს შეკითხვებზე. საერთო I ადგილის გამოსარკვევად გაიმართა შეჯიბრება ჭადრაკში ამ ქალაქების წარმომადგენლებს შორის. აქ გამარჯვება წილად ხვდათ ნორჩ სოხუმელებს.

**შ. წერეთელი,**
**ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილების გამგე.**

# რაიონებში სტადიონებით

**თელავი**

ქალაქის უბნების 11 გუნდი გამოდიოდა მინი-ფეხბურთში გამართულ შეჯიბრებაში. მონაწილეთა შორის იყო 54 წლის ფეხბურთელი ი. გაგნიძეც.

გამარჯვება წილად ხვდა „ნადიკვარს“.

* * *

გ. ჩოხელის სახელობის თასზე მონაწილეობა მიიღო მოსწავლე ფეხბურთელთა 16 გუნდმა. თასის მფლობელები მესამედ გახდნენ თელავის რუსული საშუალო სკოლის წარმომადგენლები (მასწავლებელი ო. კვეზერელი).

* * *

აქვე გაიმართა კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება, რომელსაც დაეუფლნენ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფეხბურთელები (მწვრთნელი ნ. კაციტაძე).

**გ. ელიოზიშვილი.**

# „დილა" უნდა აღორძინდეს

## რატომ იკლო ფიზკულტურელთა რაოდენობამ?

თბილისის პირველი მაისის რაიონი დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი სამრეწველო რაიონია, რომლის ტერიტორიაზე ასობით დიდი და მცირე საწარმო, დაწესებულება, ტექნიკუმი და სკოლაა. ამ რაიონის 139 ფიზკულტურულ კოლექტივში ამჟამად 26 ათას ფიზკულტურელზე მეტია. მათგან შარშან 4625 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი და 6000-ზე მეტი თანრიგოსანი სპორტსმენი მომზადდა. რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშრომელთა მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლას. შარშან საერთო ფიზმომზადების ჯგუფებში 4400-ზე მეტი კაცი მეცადინეობდა, ჯანმრთელობის ჯგუფებში — 700-მდე კაცი იყო გაერთიანებული. თევზაობას 3110, ხოლო ტურიზმს 5000-მდე მშრომელი და მოსწავლე მისდევს.

პირველი მაისის რაიონის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა თბილისის რაიონებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შარშან საერთო მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

რაიონში წლეულს სპორტული მუშაობა თითქოს გაუმჯობესდა. ნახევარი წლის მანძილზე აქ 17 სპორტის ოსტატი და 134 პირველთანრიგოსანი სპორტსმენი მომზადდა, მშდ კომპლექსის ნორმატივები 2482 კაცმა ჩააბარა. მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა განსაკუთრებით კარგად იყო დაყენებული სატელეგრაფო აპარატების ქარხნის, მაუდ-კამვოლის კომბინატის, პოლიტექნიკური ტექნიკუმის, მე-100 საშუალო სკოლისა და სხვა ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

მაგრამ რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა, ყველა საწარმოს, დაწესებულების, სასწავლებლის დირექციები მშრომელთა და მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისთვის რომ ზრუნავდნენ. რაიონში განსაკუთრებით ჩამორჩება საწარმოო ტანვარჯიში. მშრომელთა გაჯანსაღების ეს საუკეთესო საშუალება ბევრგან დღემდე არ არის დანერგილი, ან იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს. № 2, 10 და 18 სამშენებლო ტრესტებში, „ქალაქპროექტში", ხილეული წყლების ქარხანაში, № 2 საავეჯო ფაბრიკაში ფიზკულტურულ-სპორტული და მშრომელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები მეტად დაბალ დონეზეა. ამ ორგანიზაციებში შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებიც კი არ ტარდება.

ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა დაბალ დონეზეა, აგრეთვე, რაიონის №№ 13, 15, 21, 140 და 155 საშუალო სკოლებში, რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტულ სკოლაში. ამ ფაქტის სისწორეს დაადასტურებს ის, რომ პირველი მაისის მოსწავლეთა ნაკრებმა ქალაქის რაიონების მოსწავლეთა სპარტაკიადაში VII ადგილი ძლივს დაიკავა.

რაიონში ჩამორჩა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან შექმნილი არ არის ფიზკულტურის საზოგადოებრივი საბჭოები. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ცუდად მუშაობენ პედაგოგ-ორგანიზატორები. არსებული სპორტული ბაზების უმეტესობა მოუვლელია, მათ მოწყობას სათანადო ყურადღებას არავინ აქცევს. პლეხანოვის გამზირზე № 95-ში და № 117-ში საშველი არ დაადგა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს საცურაო აუზის საექსპლოატაციოდ გადაცემას და ჩოგბურთის კორტების მოწესრიგებას, შეუწყნარებლად გაჭიანურდა ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ბაზების რემონტი.

რაიონში ჩამორჩა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა, იშვიათად იმართება ლექციები, მოხსენებები ფიზკულტურისა და სპორტის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, გამოჩენილ სპორტსმენებთან შეხვედრები, რაიონის სპორტულ ბაზებზე უკმარია მშდ კომპლექსის თვალსაჩინო აგიტაციის ამსახველი მასალები — პლაკატები, ლოზუნგები.

ყველაფერი ეს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის, საწარმოებსა და დაწესებულებების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ამ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგია. ისინი არ ამოწმებენ ადგილებზე ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობას, არ სახავენ მდგომარეობის გამოსწორების გზებს. ამან კი ის გამოიწვია, რომ წლეულს თბილისის 1-ლი მაისის რაიონის ფიზკულტურელთა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით ათასზე მეტი კაცით შემცირდა, დილმის მასივში კი კარგა ხანია საქმიანობა შეწყვიტა სსრ კავშირში ჯანმრთელობის სახალხო კლუბების პირმშომ — „დილამ". № 13 სამშენებლო ტრესტის ავტოტრანსპორტო საექსპედიციო კანტორის, № 2 საავეჯო ფაბრიკის, ხილეული წყლების ქარხნის, ავეჯის ექსპერიმენტული ფაბრიკის და ზოგიერთ სხვა კოლექტივებში აქამდე მშდ კომპლექსის თითო ნიშნოსანიც კი არ მომზადებულა.

რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში შექმნილი მდგომარეობა გახდა იმის მიზეზი, რომ ამას წინათ პირველი მაისის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა, შემდეგ კი ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა სპეციალურად იმსჯელეს პირველი მაისის რაიონში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის შესახებ, მრავალი სავალალო ფაქტი ამხილეს და მათი გამოსწორების ღონისძიებანი დასახეს.

ც. ძიმისტარიშვილი.

# „სად არის ეს ქუჩა, სად არის ეს სახლი?"

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრომ, ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტმა, თბილისის ავტოინსპექციამ და საქართველოს ტელე და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ამ დღეებში კვირას თბილისის ქუჩებში მეორედ ჩაატარეს თბილისის მსუბუქი ტაქსების კანტორების მძღოლთა პირად-გუნდური შეჯიბრება.



პირველი ამგვარი ასპარეზობა შარშან გაიმართა. ტურნირის მიზანია შეამოწმოს ტაქსების რომელ კანტორაში ექცევა მეტი ყურადღება კვალიფიციური, საზრიანი და მოხერხებული მძღოლების შერჩევას, რომელთაც რაც შეიძლება სწრაფად შეეძლებათ გზაში დაზიანებული საბურავების შეცვლა და მგზავრის დანიშნულების პუნქტში დროულად უმოკლესი გზით მიყვანა.

სტარტზე, რომელიც სპორტის სასახლესთან შედგა (ფინიშიც აქვე იყო) ხუთი კოლექტივის 30 მანქანა შეგროვდა. ყოველ კოლექტივს 6 მძღოლი გამოყავდა. პირადი და გუნდური შედეგები სპიდომეტრისა და ტაქსომეტრის უმცირესი მაჩვენებლების ჯამით განისაზღვრებოდა.

შოფრები პირველ გამოცდას სტარტთან მოწყობილ ე. წ. „დახურულ პარკში" აბარებდნენ — თითო წინა და უკანა საბურავის შეცვლაზე დაკარგული დრო საბოლოო ანგარიშში გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა.

ტაქსების მე-3 კანტორის შოფერმა, ავტორალიში საქართველოს ნაკრების წევრმა, პირველთანრიგოსანმა სპორტსმენმა ჯ. ჯიქიამ, რომლის სასტარტო ნომერი 28 იყო, ამ ოპერაციას ოთხ წუთზე ოდნავ მეტი დრო მოანდომა. მე-2 კანტორის გუნდის წევრმა ი. კოტაშვილმა (№ 1) მასთან რამდენიმე ათეული წამი წააგო.

როცა ეს ორი მთავარი მეტოქე ფინიშზე მოვიდა და მსაჯებმა მათი მანქანების ყველა მაჩვენებლები შეამოწმეს, გაირკვა, რომ კოტაშვილს ყველა 12 საკონტროლო პუნქტის გავლით ფინიშთან დაბრუნებისთვის 70 კილომეტრი დაუფარა, ტაქსომეტრი კი 7 მანეთსა და 47 კაპიკს დანახარჯს უჩვენებდა.

ჯიქიას სპიდომეტრზე კილომეტრაჟი გაცილებით ნაკლები იყო აღრიცხული, ტაქსომეტრი კი 7 მანეთსა და 55 კაპიკს აღნიშნავდა. ჯიქიას საერთო ჯამში პირველობა თითქოს განაღდებული ჰქონდა, კოლეგები ამ წარმატებას ულოცავდნენ კიდევაც, მაგრამ ჯიქიას მანქანის სპიდომეტრისა და ტაქსომეტრის მონაცემების დაუმთხვევლობამ მსაჯთა კოლეგიაში დავა გამოიწვია. საჭირო გახდა მანქანის გადამოწმება, საქმეს ვერც ამან უშველა — დარღვევის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს.

მთავარ მსაჯს, გამოცდილ საკავშირო კატეგორიის არბიტრს ბ. შულცს, რომელსაც ავტომობილისტთა ბევრი დიდი შეჯიბრების ჩატარებაში საკმაო გამოცდილება აქვს, როგორც თვითონ თქვა, ალღო კარნახობდა, თითქოს ჯიქიამ მანქანას რაღაც „უჩხიკინა", თორემ როგორი მოკლე გზითაც არ უნდა ევლო, მთელ ტრასას და 12 საკონტროლო პუნქტს მისი მანქანის სპიდომეტრის მაჩვენებლის შესაბამისი მანძილის გავლით ვერ დაფარავდაო.

ბოლოს მთავარი მსაჯის აზრმა გაიმარჯვა. ჯიქიას შედეგები გააუქმეს და გამარჯვება ი. კოტაშვილს მიეკუთვნა. II ადგილზე გავიდა კოტაშვილის თანაგუნდელი ვ. კალოევი, III — რ. ძაისურაძე (მე-3 კანტორა).

გუნდური ტურნირი მე-3 კანტორის კოლექტივმა (დირექტორი გ. ნინოშვილი) მოიგო. ჯ. ჯიქიას სასჯელის მიუხედავად, ამ გუნდის წევრებმა ზ. თუხარელმა, რ. მაისურაძემ, რ. მირზოიანმა, ე. ბუტლიაშვილმა, ნ. ლომიძემ ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა მიიღეს და კვლავ შეინარჩუნეს ის გარდამავალი თასი, რომელიც შარშან დაისაკუთრეს.

მეორე ადგილი ერგო მსუბუქი ტაქსების მე-2 კანტორის ნაკრებს, მესამე — მე-5 კანტორის შოფრებს.

გამარჯვებულ გუნდს თასი, პრიზიორებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადასცა საქართველოს ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. კაკაშვილმა.

ო. ივდოშვილი.

* * *

**სურათებზე:** საბურავის გამოცვლის მომენტი; ვ. კალოევი ერთ-ერთ საკონტროლო პუნქტში.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



# სანახევროდ შესრულებული ვალდებულება

„ლელოს" 1974 წლის 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის ვალდებულებების შესახებ. ქუთაისელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ბათუმელი კოლეგების ფიზკულტურული კოლექტივი გამოიწვიეს.

ვალდებულებაში, რომელსაც ხელს აწერენ კომბინატის ხელმძღვანელი მუშაკები და ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს წევრები, ნათქვამია: „გეგმის ზევით მოვამზადებთ ერთ სსრ კავშირის სპორტის ოსტატს, 10 პირველთანრიგოსანს, 20 მეორეთანრიგოსანს, 50 მესამეთანრიგოსანს, 15 ჭაბუკთა თანრიგის სპორტსმენს, 30 მშდ კომპლექსის ნიშნოსანს, 50 საზოგადოებრივ ფიზკულტურულ მუშაკს; საზოგადოება „გახთიადის" წევრთა რაოდენობას გავზრდით 300 კაცით, ფიზკულტურელთა რაოდენობას — 300 კაცით, მოვაწყობთ ფეხბურთის მინდორს სახტომი და სატყორცნი სექტორებით, კომბინატის ტერიტორიაზე — ხელბურთისა და ფრენბურთის თითო მოედანს, შევაკეთებთ არსებულ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს".

ამას წინათ შევამოწმეთ ქუთაისელ სახლმშენებელთა აღებულ ვალდებულებათა შესრულება.

კომბინატმა გეგმის ზევით მოამზადა ერთი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 11 პირველთანრიგოსანი, 23 მეორეთანრიგოსანი, 17 ჭაბუკთა თანრიგის სპორტსმენი, 36 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, 50 საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკი.

## ფიზკულტურის კოლექტივებში

საზოგადოება „განთიადის" წევრთა რაოდენობა გაზრდილია 330 კაცით, ფიზკულტურელთა რაოდენობა კი — 315 კაცით.

მართალია, ვალდებულებების ერთი ნაწილი გადაჭარბებითაა შესრულებული, მაგრამ სპორტული ბაზების მოწყობისა და შეკეთებისთვის არაფერი გაკეთებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კალათბურთის მოედანზე რკინის ძელების დაყენებას.

— კომბინატის რეკონსტრუქციამ შეგვიშალა ხელი, — გვითხრა პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის მდივანმა მ. ტურაბელიძემ, — იქ, სადაც ფეხბურთის კომპლექსური სტადიონის მოწყობას ვაპირებდით, რკინაბეტონის ღობე აღმართეს და მინდვრის გასწორებისთვის ჩატარებული სამუშაო წყალში ჩაგვეყარა, ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნებისთვის განკუთვნილი ადგილი კი კომბინატის ერთ-ერთმა საამქრომ დაიკავა.

საინტერესოა, რას ფიქრობდა კომბინატის დირექცია და ფიზკულტურელთა კოლექტივის საბჭო, როცა ვალდებულებას იღებდა. ნუთუ მათთვის უცნობი იყო კომბინატის მოსალოდნელი რეკონსტრუქცია? ძნელი დასაჯერებელია! ერთი კი ცხადია, კოლექტივმა ვერ გამოიჩინა თავი სოციალისტურ შეჯიბრებაში, თუმცა დასკვნების გაკეთებით ნუ ავჩქარდებით, ვნახოთ რით უპასუხეს ბათუმელმა სახლმშენებლებმა ქუთაისელი კოლეგების გამოწვევას.

ე. ბერიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

# ლიდერობს საბჭოთა ნაკრები

მოსკოვი, 15 დეკემბერი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა დაამთავრა „იზვესტიის" პრიზის მოსკოვის სერიის მატჩები შვეციის ეროვნულ გუნდთან. გუშინ საბჭოთა ჰოკეისტებმა მეორე მატჩიც მოუგეს მეტოქეებს — 5:2. დღეს კი მომდევნო შეხვედრის შედეგი უფრო მოკრძალებული იყო — 4:3 (საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ).

„იზვესტიის" პრიზზე ჩატარებულ 9 მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა — 18.

ახლა მხოლოდ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები აცხადებენ პრეტენზიას პრიზის მოპოვებაზე. მათ შორის შეხვედრები გაიმართება 18, 19 და 21 დეკემბერს.



### სსრ კავშირის ჩემპიონატი

# იქნებ ზოგი ჭირი მარგებელია?

თბილისი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. 14 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 108:69 (54:28).

„დინამო“: ბიჭიაშვილი (გუნდს შესძინა 22 ქულა), პულავსკი (18), მ. ქორქია (16), ნ. ქორქია (14), ძიძიგური (9), ჩიხლაძე (8), ქარაბაკი (8), ჯგერენაია (5), ნარიმანიძე (4), ჩხიკვაძე (4).

„სტატიბა“: ენდრიაიტისი (12), კაზლაუსკასი (12), მოისეენკო (11), ბალტუშკა (8), გირსკისი (6), კარნიშოვასი (6), ლუკაუსკასი (6), კაირისი (4), ბალტუშკა (4).

მსაჯები: ი. აბუჩსი (რიგა), ი. გერასიმოვი (ლენინგრადი).

დუბლები — 100:81 (51:37).

* * *

თბილისი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. 15 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 93:92 (40:51).

„დინამო“: მ. ქორქია (28), ჩიხლაძე (22), ქარაბაკი (18), ბიჭიაშვილი (11), ძიძიგური (6), ჩხიკვაძე (4), ფიცხელაური (2), პულავსკი (2).

„სტატიბა“: კარნიშოვასი (31), მოისეენკო (22), გირსკისი (21), ლუკაუსკასი (8), ენდრიაიტისი (6), კაზლაუსკასი (4), ბალტუშკა.

მსაჯები: ი. აბუჩსი, მ. ბერნატსი (ორივე — რიგა).

დუბლები — 80:78 (43:35).

„სტატიბას“ ორმა გამოსვლამ თბილისში ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი წარმოშვა. კამათი უმთავრესად მეორე მატჩის ირგვლივ ატყდა, რომელიც საკალათბურთო ლოგიკის ყველა ნიშნით მასპინძლებს, თბილისის დინამოელებს უნდა მოეგოთ.

ჰქონდა კი საფუძველი ამ ლოგიკას? ალბათ ჰქონდა, ვინაიდან, სხვა რომ არაფერი, წინა დღეს „სტატიბამ“ შეხვედრა 39 ქულით წააგო. ამას გარდა, ლიტვის მეორე გუნდი (არაფერს ვამბობთ „ჟალგირისზე“) არ არის „დინამოს“ რანგის მეტოქე. კიდევ შეიძლება რამდენიმე არგუმენტის მოტანა („სტატიბას“ გამოუცდელობა, საკუთარი კედლების უპირატესობა და ა. შ.) იმის დასტურად, რომ პირველი მოგების შემდეგ დინამოელებს არაფერი უნდა ჰქონოდათ საპანიკო.

მაშ რაღამ გამოიწვია კამათი? რა იყო აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი? ახლა თითქმის ყველა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ „დინამოს“ გუშინწინდელი შეხვედრაც ძირითადი შემადგენლობით უნდა დაეწყო და შემდეგ, ბრძოლის პროცესში, ნელ-ნელა შეეცვალა იგი ახალგაზრდებით, თუ ანგარიში ამის საშუალებას მოგვცემდა. აზრი, რა თქმა უნდა, სწორია, ვინაიდან სიფრთხილეს თავი არასდროს სტკივა, მაგრამ...

იყო კი გარანტია იმისა, რომ ძირითად ხუთეულსაც არ შებოჭავდა ის სენი, რამაც გუშინწინდელი სასტარტო შემადგენლობა შებოჭა? საქმე ხომ იმდენად ძლიერსა და სუსტ ხუთეულებში არაა, რამდენადაც ამ ხუთეულების ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში. ვერავინ დაგვარწმუნებს იმაში, რომ ძიძიგურმა, ფიცხელაურმა, ჩხიკვაძემ, მ. ქორქიამ და პულავსკიმ უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან საკუთარ მოედანზე ტაიმი 14 ქულით უნდა წააგოს. ამ შემთხვევაში წარუმატებლობის მიზეზი უფრო ზოგადია და იგი ჩვენი კალათბურთელების ხასიათში უნდა ვეძებოთ. ხასიათი კი აი, რაში გამოვლინდა: პირველი მატჩი ხომ დიდი უპირატესობით მოვიგეთ? რაღა დაგვიდგება წინ მეორეშიო?

მეორე შეხვედრაში „დინამოს“ წინ აღუდგა სუსტი და გამოუცდელი მეტოქის ერთიანი სურვილი, რომელმაც გასტეხა სალიდეროდ გამზადებული კოლექტივის ნებისყოფა. აი, სწორედ მაშინ იჩინა თავი ძველმა სენმა — ფსიქოლოგიურმა მოუმზადებლობამ. ასეთ დროს ყველაფერი ნაცნობი სქემით ვითარდება ხოლმე: ჯერ შეშფოთება იწყება, მერე აშკარა ნერვიულობა, ბოლოს პანიკა, რომელმაც შეიძლება მარცხის პირამდეც მიიყვანოს გუნდი.

როგორც ხედავთ, „დინამომ“ შეხვედრის დაწყებამდე გამოუტანა განაჩენი თავის თავს და შემდეგ, მთელი საათნახევრიანი მძიმე ბრძოლა ამ განაჩენის გაბათილებას მოანდომა. მატჩის ფინალი ორმაგად დრამატიული იყო. თბილისელები, რომლებიც მთელი შეხვედრის მანძილზე ამაოდ იბრძოდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, წუთნახევრით ადრე პირველად დაწინაურდნენ 3 ქულით, მაგრამ ეს უპირატესობა მაშინვე დაკარგეს. „სტატიბამ“ თავისი უდავო უპირატესობა ფაქტიურად მატჩის ბოლომდე მიიყვანა, მაგრამ გამარჯვების მისაღწევად მას 3 წამი არ ეყო. ამ სამ წამში „დინამომ“ მოახერხა ბურთის გამოტანა პირითი ხაზიდან და პასი მ. ქორქიაზე, რომელმაც ზუსტი სროლით წერტილი დაუსვა უჩვეულო ბრძოლას.

„დინამომ“ გაიმარჯვა და თან კარგი გაკვეთილი მიიღო. უმაღლეს ლიგაში სუსტი და ძლიერი გუნდები არ არსებობენ. ეს არის პირველი და მთავარი დასკვნა ამ გაკვეთილიდან (სხვათა შორის ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ „დინამოს“ დუბლიორებიც. პირველი მატჩი მათ 19 ქულით მოიგეს, მეორე კი კინაღამ წააგეს. აი, აქაც ჩანს ჩვენი კალათბურთის ხასიათი), რომელიც ალბათ გარკვეულ სამსახურს გაუწევს გუნდს მომავალ მატჩებში. ვინ იცის, ზოგი ჭირი იქნებ მარგებელიცაა.

**ნ. გუგუშვილი.**

* * *



სურათზე: „დინამოს“ და „სტატიბას“ პირველი მატჩი. ნოდარ ქორქია მეტოქის ფარზე იერიშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დ.“ (თბ.) | 12 | 11 | 1 | 1075—987 | 11 |
| „სპარტ.“ | 12 | 10 | 2 | 1045—874 | 10 |
| ცსკა | 12 | 9 | 3 | 1118—968 | 9 |
| „დინ.“ (მ.) | 12 | 9 | 3 | 1031—899 | 9 |
| „ჟალგირ.“ | 12 | 8 | 4 | 1035—1002 | 8 |
| „კალევი“ | 11 | 5 | 6 | 899—884 | 5 |
| „სტროიტ.“ | 9 | 2 | 7 | 735—782 | 2 |
| „სტატიბა“ | 12 | 2 | 10 | 947—1097 | 2 |
| რტი | 12 | 2 | 10 | 949—1099 | 2 |
| „ურალმ.“ | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |

## 13 ქულით „სტროიტელი“ ისევ დამარცხდა

გაიმართა მორიგი ტურის ორი მატჩი.

**მინსკი.** მოსკოვის „დინამომ“ წინა დღეს დამარცხების რევანში აიღო. რტი-მ ეს მატჩი წააგო 13 ქულით — 82:95.

**ტალინი.** „სტროიტელი“ კვლავ წარუმატებლად თამაშობს. გუშინწინ იგი ტარტუს „კალევს“ შეხვდა და დამარცხდა — 71:85.

## ცსკა: თორმეტიდან თორმეტი!

დუბლიორთა ბოლო მატჩებიდან აღსანიშნავია ტურნირის ერთპიროვნული ლიდერის ცსკა-ს ახალი წარმატება. არმიელებმა ორივე შეხვედრა მოუგეს ლენინგრადის „სპარტაკს“ (96:64 და 99:74).

არმიელთა დუბლიორები წლეულს მართლაც შესანიშნავად თამაშობენ. ახალგაზრდულ შემადგენლობაში ბევრი ნიჭიერი კალათბურთელია. ამ ცოტა ხნის წინ კი გუნდმა მოულოდნელად ახალი შევსება მიიღო.

გახსოვთ ალბათ, სეზონის დასაწყისში ვწერდით, რომ ტარტუს „კალევმა“ ტაშკენტიდან გადმოიყვანა პერსპექტიული ცენტრალური თავდამსხმელი რ. აბელიანოვი (205 სმ). მან კარგად ვერც მოასწრო ახალ გუნდში შეთამაშება, რომ ჯარში გაიწვიეს. ახლა იგი ცსკა-ში გამოდის. არმიელთა დუბლი კიდევ უფრო გაძლიერდა.

ორი ბრძოლა მოიგო თბილისის „დინამომაც“ (მხედველობაში გვაქვს „სტატიბასთან“ შეხვედრები) და სატურნირო ცხრილში რამდენიმე საფეხურით წინ გადინაცვლა.

„კალევმა“ და მოსკოვის „დინამომ“ ქულები გაიყვეს. ესტონელებმა შინ პირველი მატჩი მოიგეს —81:74, მეორე დღეს კი დამარცხდნენ — 62:83.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 12 | 0 | 1120—813 | 12 |
| „ჟალგ.“ | 12 | 10 | 2 | 1102—930 | 10 |
| „დინ.“ (მ.) | 10 | 8 | 2 | 976—768 | 8 |
| „სპარტ.“ | 12 | 7 | 5 | 990—948 | 7 |
| „დინ.“ (თბ.) | 12 | 6 | 6 | 964—1039 | 6 |
| „კალევი“ | 10 | 5 | 5 | 856—806 | 5 |
| „სტროიტ.“ | 8 | 4 | 4 | 700—706 | 4 |
| რტი | 10 | 3 | 7 | 794—874 | 3 |
| „ურალ.“ | 14 | 1 | 13 | 1014—1430 | 1 |
| „სტატიბა“ | 12 | 0 | 12 | 913—1115 | 0 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის მოსკოვის „დინამოსა“ და რტი-ს შეხვედრების, აგრეთვე, „კალევ“-„სტროიტელის“ პირველი მატჩის შედეგები.




## თბილისი-74

XV ტური. ბ. გურგენიძე (თბილისი) — ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) 0,5:0,5, ა. შნაპიკი (პოლონეთი) — ს. ბოხოსიანი (ბულგარეთი) 0,5:0,5, ე. უბილავა — ე. გუფელდი 0,5:0,5, თ. გიორგაძე (სამივე — თბილისი) — ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) 1:0, გ. სიგურიონსონი (ისლანდია) — რ. ხოლმოვი (მოსკოვი) 0,5:0,5, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ვ. ბაგიროვი (ბაქო) 0,5:0,5, ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) — რ. კინი (ინგლისი) 1:0, გ. ლებრედო (კუბა) — ვ. შმიდტი (პოლონეთი) 0,5:0,5.

მემორიალი დამთავრდა. ადგილები ასე განაწილდა: I-II. თ. გიორგაძე, ე. გუფელდი — 10-10 ქულა, III-IV. ვ. ბაგიროვი, რ. ხოლმოვი — 9-9, V-VIII. ნ. გაფრინდაშვილი, გ. სიგურიონსონი, ე. უბილავა, ვ. ჩოკილტია — 8-8, IX-XI. ს. ბოხოსიანი, რ. კინი, ვ. ნიჩევსკი — 7,5-7,5, XII-XIII. ბ. გურგენიძე, ვ. შმიდტი — 6,5-6,5, XIV-XV. გ. ლებრედო, ა. ტუზოვსკი — 5-5, XVI. ა. შნაპიკი — 4,5.

## გაიმარჯვეს ე. გუფელდმა და თ. გიორგაძემ

ოციოდე სვლაში გუფელდი ყაიმზე რომ შეუთანხმდა უბილავას, მთელი საღამო თავის ძირითადი მოცილის გიორგაძის პარტიას ადევნებდა თვალს, რომელიც ჩოკილტიას ხვდებოდა, ახალგაზრდა ოსტატი მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში დაეწეოდა გუფელდს.

სიცილიურ დაცვაში ჩოკილტიამ თავდაცვის ზღუდე ააგო და მეტოქის მხრიდან შეტევას დაელოდა. მაგრამ გიორგაძე არ ჩქარობდა, დინჯად ავითარებდა ფიგურებს, აუმჯობესებდა მათს პოზიციას. რუმინელ ჭადრაკეს დიდი დრო დაჭირდა მეტოქის საიდუმლოების ამოსაკითხავად.

ამასობაში ბოხოსიანმა და ნიჩევსკიმ თავიანთი შეხვედრები დაამთავრეს და ორივემ საერთაშორისო ოსტატის თითო ბალი მოიხვეჭა. იუგოსლაველისთვის ეს მეორე ბალი ყოფილა და მას ფიდე უახლოეს კონგრესზე საერთაშორისო ოსტატის წოდებას მიანიჭებს. ამიტომ იყო, რომ იგი და ბოხოსიანი კმაყოფილი ღიმილით ღებულობდნენ კოლეგების მოლოცვებს.

— ყაიმი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. ჩემი პოზიცია უკეთესი იყო, — გვითხრა ნონამ. მერე დასძინა, — ოსტატი ვაჟები მაშინ მთავაზობენ ყაიმს, როცა უარესი პოზიცია აქვთ. მგონი, რაღაც ეშლებათ.

თავიდანვე (თამაში სიცილიური დაცვით დაიწყო) კინი რთული სადებიუტო პრობლემების ამოხსნაში იყო. მაშინაც კი, როცა ბრძოლა ენდშპილში გადავიდა, მან საკუთარ თავზე მოსინჯა ჭადრაკის დედოფლის „მძიმე ხელი“. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო ნონას მცირე უპირატესობით. გუშინ დილით გაფრინდაშვილმა იგი გამარჯვებით დაავგვირგვინა.

მალე დაზავდნენ სიგურიონსონი და ხოლმოვი. ყაიმი ორივეს აძლევდა ხელს. ბაგიროვიც ბედს (ყაიმს) შეურიგდა.

გიორგაძე — ჩოკილტიას შეხვედრაში კი დაძაბულობა არ ცხრებოდა. იერიშის ცდაში ჩოკილტია სასტიკ ცაიტნოტში მოექცა. ლოდინი უკვე აღარ შეიძლებოდა და თავად შეუტია ლაზიერის ფრთას. ცაიტნოტში ისეთი ფათერაკიანი ამბები დაიწყო, რომ ადვილად შეიძლებოდა შეცდომის დაშვება. ჯერ ჩოკილტიამ შესწირა ხარისხი, მერე გიორგაძემ იგი უკან დააბრუნა და ინიციატივაც შეინარჩუნა. პოზიციას ოდნავ ნათელი რომ მოეფინა, ჩოკილტიას საათზე ალამი ჩამოუვარდა. მას წაგება ჩაეთვალა.

— სასიამოვნო ფინიში გახლდათ, — თქვა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ჩიკვაიძემ, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა როგორც ჩვენი მოჭადრაკეების პირველ-მეორე ადგილების გაყოფა, ისე გიორგაძის მიერ საერთაშორისო დიდოსტატის პირველი ბალის შეძენა.

გუშინ საღამოს მემორიალი საზეიმოდ დაიხურა.

**თ. გიორგაძე,**
მემორიალის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.

### მეგობრული შარჟი



შმიდტი (პოლონეთი).

შ. შანიძის ნახატი.

## ტალი, ბელიავსკი — 7,5-7,5

ლენინგრადში 42-ე საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირის XI ტურში ყველაზე ადრე ა. ბელიავსკი (ლვოვი) — გ. კუზმინის (ვოროშილოვგრადი) შეხვედრა დამთავრდა. მე-17 სვლისთვის კუზმინს იმდენად უარესი პოზიცია ჰქონდა, რომ მან თავი დამარცხებულად ცნო.

ლ. ალბურტ (ოდესა) — კ. გრიგორიანის (მოსკოვი) შეხვედრაში თამაშის გეზი სხვადასხვა მხარეს გაკეთებულმა როქმა განსაზღვრა. ალბურტის იერიში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ 30-ე სვლაზე გრიგორიანი წაგებას შეურიგდა.

ახალი ლაზიერის გაცოცხლებით მ. დვორეცკიმ (მოსკოვი) სძლია ვ. კუპრეიჩიკს (მინსკი).

აუღელვებლად ყაიმის ნავსაყუდარს მიადგა ვ. სავონ (ხარკოვი) — მ. ტალის (რიგა) პარტია. ლ. პოლუგაევსკის (მოსკოვის ოლქი) იერიში მრისხანე ჩანდა, მაგრამ ვ. ცეშკოვსკიმ (ომსკი) შეძლო მისი უვნებელყოფა და მეტოქენი დაზავდნენ.

სამი პარტია გადაიდო. თანაბარი მდგომარეობაა ო. რომანიშინ (ლვოვი) — ბ. გულკოს პარტიაში. ი. ბალაშოვს (ორივე — მოსკოვი) პაიკი აკლია მ. ტაიმანოვთან (ლენინგრადი), ხოლო ე. ვასიუკოვს (მოსკოვი) რ. ვაჰანიანთან უმძიმესი პოზიცია აქვს.

IX ტურიდან გადადებულ პარტიაში ბელიავსკის დანებდა ცეშკოვსკი.

11 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ტალი და ა. ბელიავსკი — 7,5-7,5 ქულა. ლ. პოლუგაევსკის 7 ქულა აქვს,







# უნგრელები პირველნი იყვნენ

თბილისში სტუმრად იყვნენ უნგრეთის ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები, რომლებიც ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდნენ ჩვენი დედაქალაქის სპორტსმენებს. საქართველოს ნაკრებში არ გამოდიოდნენ უძლიერესი ტანმოვარჯიშეები ნ. დრონოვა, რ. სიხარულიძე და პ. შამუგია. ამიტომ საქართველოს გუნდი უმთავრესად ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული და ბევრ ჩვენს ტანმოვარჯიშეს არ ჰქონდა დიდ შეჯიბრებაში გამოსვლის გამოცდილება.

ქალებში ყველას აჯობა გამოცდილმა უნგრელმა ტანმოვარჯიშემ მ. ეგერვარიმ, რომელიც საუკეთესო იყო დვირზე, ხტომებსა და მრავალჭიდში. ორძელზე ვარჯიშში თავი გამოიჩინა თ. ლაფერაშვილმა, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო ამ იარაღზე. თავისუფალ ვარჯიშში პირველი იყო ლ. კილასონია.

საბოლოოდ ეგერვარიმ დააგროვა 74,45 ქულა. მეორე იყო ლაფერაშვილი — 73,85, მესამე — ა. სომნერი (უნგრეთი) — 73,75, მეოთხე ლ. ნაეროზაშვილი — 73,7, მეხუთე — კილასონია — 73,2.

ვაჟებში ორძელზე და ტაიჭზე კარჯიშში გაიმარჯვა უნგრელმა ი. ბარნევიმ, რგოლებსა და ხტომებში — ი. ბირომ (უნგრეთი). თავისუფალ ვარჯიშში პირველი იყო ე. ჯაიანი, ლერძზე — გ. ბახია.

მრავალჭიდში ადგილები ასე განაწილდა: 1. ი. ბარნევი — 112,75, 2. ი. ბირო — 110,25, 3. ვ. კევლიშვილი — 109,25, 4. კ. რაჭველიშვილი — 109,2, 5. გ. ბახია — 109,1.

გუნდური პირველობა მოიგო უნგრეთის ნაკრებმა. ქალები — 368,65:365,2, ვაჟები — 547,75:547,3.

• • •

სურათებზე: ზევით — თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დირექტორი მ. იმნაძე სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემს ამ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩზე სპეციალურად მოვლინებულ ჟურნალისტებს ლ. ტარპაის („ნეპშპორტი"), ი. ვინცეს (უნგრეთის ახალი ამბები) და ლ. სალომს (მტი). შუაში — თბილისელი ნორჩი ტანმოვარჯიშეები ყვავილებს გადასცემენ სტუმრებს. ქვევით — რ. პეტერი ტაიჭზე ვარჯიშისას.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS

ბიბლიოთეკა

### თავისიანებიც არ დაინდო

ათენში შედგა მატჩი საფრანგეთის ჩემპიონს „სენტ-ეტიენსა" და საბერძნეთის ჩემპიონს „ოლიმპიაკოსს" (პირეოსი) შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა „სენტ-ეტიენმა".

საყურადღებოა, რომ 2 ბურთი „ოლიმპიაკოსის" კარში გაიტანა ბერძენმა ფეხბურთელმა ტრიანდაფილასმა, რომელიც მიმდინარე სეზონის დასაწყისში „ოლიმპიაკოსიდან" გადავიდა „სენტ-ეტიენში".

### კარგი შედეგები

1974 წლის სეზონში პოლონეთის ნაკრებმა 15 ოფიციალური მატჩი გამართა: 10 მოიგო, 3 წააგო და 2 ფრედ დაამთავრა. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები თამაშობდნენ 10 და მეტ მატჩში, სულ კი მწვრთნელმა გურსკიმ 31 ფეხბურთელი გამოსცადა.

### მაშჩიკი — № 1

1974 წლის სეზონის № 1 ფეხბურთელად პოლონეთში აღიარებულია მაშჩიკი (ხოჟუვის „რუხი"). ეს ცნობილი გახდა 78 პოლონელი სპორტული ჟურნალისტის გამოკითხვის შედეგად.

მეორე ადგილზე გავიდა გადოხა (ვარშავის „ლეგია"), მესამეზე — ლატო (მიელეცის „სტალი").

### 16-დან მხოლოდ 6

მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ფინალისტთაგან უმეტეს გუნდებში მწვრთნელები გამოიცვალნენ. მიზეზი ერთია: მწვრთნელებზე „ჯოხი გადატყდა" იმის გამო, რომ მათი გუნდებისგან უკეთეს შედეგებს მოელოდნენ. არ მოუხსნიათ მხოლოდ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი მიხელსი, რომელმაც საკუთარი სურვილით ამჯობინა მუშაობა ესპანეთის „ბარსელონაში".

სულ ფინალისტების 16 მწვრთნელიდან დღეისთვის მუშაობას განაგრძობს მხოლოდ 6.

## უეფა სჯის დამნაშავეებს

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში ვიუწყებოდით იმ ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე, რომლებსაც მიმართა ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირმა კონტინენტის სხვადასხვა გათამაშების მატჩებში მომხდარი დარღვევების გამო. ახლა უეფა-მ გამოაცხადა თავისი ახალი სანქციების შესახებ.

დისკვალიფიცირებული იქნენ საბერძნეთის „ოლიმპიაკოსისა" და თურქეთის „ფენერბახჩეს" სტადიონები, ვინაიდან ოფიციალური მატჩების მსვლელობისას იქ მაყურებელთა შორის არ იყო საჭირო წესრიგი.

„ოლიმპიაკოსის" ფეხბურთელი როპოულუსი დისკვალიფიცირებულია 6 მატჩით არბიტრის შეურაცხყოფის გამო. ამდენივე მატჩით აეკრძალა თამაშებში მონაწილეობა ბუქარესტის „დინამოს" ფეხბურთელს კორნელს, ვინაიდან მან უარი განაცხადა შეესრულებინა არბიტრის განკარგულება და დაეტოვებინა მინდორი უეფა-ს თასის მატჩში გფრ-ის „კიოლნთან".

3-3 თამაშს გააცდენენ უხეში თამაშისთვის ჰოლანდიის „აიაქსის" თავდამსხმელი რეპი, ბელგიის „ანტვერპენის" მოთამაშე სერი და ინგლისელი მაკენზი („ლიდს იუნაიტედი").

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ირლანდიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც 30 ოქტომბერს შედგა დუბლინში, უხეშობისთვის მინდვრიდან იქნენ გაძევებული ირლანდიელი მანჩინი და ვ. კაპლიჩნი (სსრ კავშირი). მანჩინი დისკვალიფიცირებულია 4, ხოლო კაპლიჩნი — 3 მატჩით.

ამას გარდა, სოლიდური ფულადი ჯარიმა უნდა გადაიხადოს „ოლიმპიაკოსმა" — 17 ათასი შვეიცარიული ფრანკი, მის სტადიონზე გულშემატკივართა არასპორტული საქციელის გამო, როცა იქ მიმდინარეობდა ჩემპიონთა თასის მატჩი ბელგიის „ანდერლეხტთან". ასეთივე დარღვევისთვის 15-15 ათას ფრანკს გადაიხდიან იტალიის „ინტერნაციონალე" და თურქეთის „ფენერბახჩე".

## რას გვთავაზობენ არგენტინელები

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ მომავალი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება არგენტინაში და მასპინძლებს განზრახული აქვთ ფინალისტთა რაოდენობა ადრინდელი 16-დან გაზარდონ 20-მდე.

ამას წინათ შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სხდომა, სადაც არგენტინელებმა კომენტარი გაუკეთეს თავიანთ ამ ორგანიზაციულ სიახლეს. როცა ადრე ლაპარაკი იყო ფინალისტთა რაოდენობის გაზრდაზე 4 ერთეულით, ვფიქრობდით, რომ ფინალის ეს დამატებითი საგზურები გათამაშდებოდა ადრინდელი სისტემით და ყველა კონტინენტი მიიღებდა დამატებით ადგილებს, მაგრამ მასპინძელთა საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის განმარტების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეს დამატებითი ადგილები განაწილდება სულ სხვა წესით. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა მ. ნოელმა ფიფა-ს ხელმძღვანელი ორგანოების სხდომაზე ასეთი კომენტარი გაუკეთა ფინალში დამატებითი ადგილების განაწილების საკითხს:

— ჩვენ არ გვინდა ფინალს დაემატონ მეორეხარისხოვანი გუნდები, რომლებიც მას ვერ შემატებენ რაიმე ინტერესს. ჩვენ გვინდა, რომ ისეთი საფეხბურთო ქვეყნები, როგორებიც არიან ინგლისი, სსრ კავშირი, ესპანეთი, ჩეხოსლოვაკია, პორტუგალია და სხვანი, არ დარჩნენ ფინალის მიღმა. ჩვენი გეგმით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშები უნდა ჩატარდეს 25 დღეში, სადაც თამაშების მაქსიმალური რაოდენობა ყოველი ნაკრებისთვის იქნება 7 მატჩი.

თავის ამ სიტყვებს ნოელმა დაუმატა, რომ როცა ფიფა-მ ფინალში წინასწარ გარანტირებული ადგილები გამოუყო აფრიკას, აზიას და ცენტრალურ ამერიკას, ამით შეიზღუდა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ძლიერი გუნდების ლიმიტი. XI მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს კი სურთ კვლავ გაზარდონ ძლიერი გუნდების წარმომადგენლობა 1978 წლის გათამაშებაში.

არგენტინელებს ასე აქვთ განზრახული თავიანთი იდეის განხორციელება: შესარჩევი თამაშები ჩატარდება ადრინდელი სქემით და გამოვლინდება 16 ფინალისტი. ამის შემდეგ მოეწყობა დამატებითი ტურნირები, რომლებიც გამოარკვევენ კიდევ 4 ფინალისტს მათი რიცხვიდან, ვინც წარუმატებლობა განიცადა ადრინდელ შესარჩევ ტურნირებში. ასეთები იქნებიან ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდები, რომლებიც ფინალში ვერ მოხვდნენ პირველი ეტაპის პროცესში.

ნოელმა თავის განცხადებას ისიც დაუმატა, რომ საკვალიფიკაციო ტურნირების დეტალები უკვე განხილულ იქნა ფიფა-ში და არსებითად რატიფიცირებულია მის მიერ.

მოწონებულია, აგრეთვე, ფინალური ეტაპის ჩატარების სქემაც. 20 ნაკრები გუნდი დაიყოფა 4 ჯგუფად, თითოეული 5 გუნდის შემადგენლობით. ჯგუფებში გათამაშება იწარმოებს წრიული სისტემით და 2-2 უძლიერესი გავა მეოთხედფინალში. გათამაშების შემდგომ ეტაპებზე (მეოთხედფინალები, ნახევარფინალები, ფინალი) ძალაშია ოლიმპიური პრინციპი, ე. ი. წაგებული ეთიშება შეჯიბრებას. სხვა სიტყვებით, გათამაშება უბრუნდება იმ სისტემას, რომელიც უკანასკნელად გამოყენებულ იქნა მექსიკაში. ფინალისტები ჩაატარებენ მაქსიმუმ 7 მატჩს, თვით მსოფლიო ჩემპიონატი გასტანს 25 დღეს, მაგრამ თამაშების რაოდენობა გაიზრდება 38-დან 48-მდე.

## ჩოგბურთი

## წყვილთა ფინალში

პერტი, 16 დეკემბერი. დასავლეთ ავსტრალიის შტატის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ქალთა შორის უძლიერესი იყო მასპინძელი მ. კორტი, რომელმაც ფინალში მოუგო საბჭოთა სპორტსმენს ო. მოროზოვას — 6:4, 7:5, ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში კვლავ სძლია ი. გულაგონგს — 6:2, 3:6, 8:6. ვაჟთა ფინალში ავსტრალიელმა რ. კეიზმა დაამარცხა თანამემამულე დ. მასტერსი — 6:4, 7:6, 4:6, 7:6. ა. მეტრეველი შეჯიბრებას გამოეთიშა ნახევარფინალში. აქ მან წააგო მასტერსთან — 4:6, 7:6, 3:6. მოროზოვა და ჩეხი მ. ნავრატილოვა პირველობდნენ ქალთა წყვილებში. მათ მოუგეს ლ. ჰანტს (ავსტრალია) და კ. სავამატცუს (იაპონია) — 6:1, 6:3.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

19 დეკემბერს

თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა სახლში (პლეხანოვის პრ. № 127-ა) გაიმართება საქართველოს პროფკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება.

დღის წესრიგი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 8 ივნისის დადგენილების შუქზე რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები.

დასაწყისი 12 ს.

20 დეკემბერს

ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 12 ს.

20 დეკემბერს

საქართველოს ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება სასროლო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. სასროლო სპორტის მდგომარეობა რესპუბლიკაში; 2. რესპუბლიკური ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

დასაწყისი 15 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.